საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 487

09 08 2017წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის დარგისა და განათლების ფასილიტატორების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მენეჯერის, 2017 წლის 02 აგვისტოს №899468 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017 წლის 09 აგვისტოდან 2017 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი პროგრამის განათლების ფასილიტატორისა და დარგის ფასილიტატორის შერჩევის მიზნით.
2. პროგრამის განათლების ფასილიტატორის კონკურსი გამოცხადდეს 8 ადგილზე:
2.1. სამუშაოს ტიპი - შტატგარეშე;
2.2. სამუშაოს პერიოდი: შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით არაუმეტეს 3 თვე;
2.3. ხელფასი შესრულებული სამუშაოსათვის: 1600 ლარი.
3. პროგრამის განათლების ფასილიტატორის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
3.1. აკადემიური უმაღლესი განათლება;
3.2. განათლების სფეროში არანაკლებ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
3.3. ჯგუფთან მუშაობის და კოორდინაციის გამოცდილება.
3.4. ენების ცოდნა:

ა) ქართული ენის სრულყოფილი წერითი, კითხვის და საუბრის უნარები;

ბ) ინგლისურ ან/და რუსულ ენებზე კითხვის და გააზრების უნარი.

3.5.კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word; Microsoft Office PowerPoint; Microsoft Excel) კარგად ცოდნა.

3.6. უპირატესობა მიენიჭებათ კანდიდატებს, ვისაც აქვთ პროფესიულ სტანდარტებზე ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება.

4. სამუშაოს აღწერა:

პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება ცენტრის ფარგლებში განსაზღვრული მეთოდოლოგიითა და ინსტრუქციით.

5.მოსალოდნელი შედეგები/პროდუქტები:

ა) საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის ანალიზი;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის თანდართული მოდულების პროექტები;

გ) საჭიროების შემთხვევაში გადამუშავებული პროფესიული სტანდარტი/სტანდარტები;

დ) შუალედური და საბოლოო ანგარიშები, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაცია.

6. პროგრამის განათლების ფასილიტატორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:

ა) აზრის გამართულად ჩამოყალიბება;

ბ) ლოგიკური აზროვნება;

გ) ანალიტიკური აზროვნება;

დ) სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაცია.

7. პროგრამის განათლების ფასილიტატორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კანონი "პროფესიული განათლების შესახებ";

ბ) "პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს №733 ბრძანება;

გ) "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება.

8. პროგრამის დარგის ფასილიტატორის კონკურსი გამოცხადდეს 8 ადგილზე:

8.1. სამუშაოს ტიპი - შტატგარეშე;

8.2. სამუშაოს პერიოდი: შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით არაუმეტეს 3 თვე;

8.3. ხელფასი შესრულებული სამუშაოსათვის: 1400 ლარი.

9. პროგრამის დარგის ფასილიტატორის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან/და მინიმუმ სამ წლიანი სამუშაო გამოცდილება შემდეგი მიმართულებით:

ა.ა) ავტომობილების სერვისი;

ა.ბ) მშენებლობის წარმოება;

ა.გ) ტოპოგრაფია;

ა.დ) მექანიკა და ლითონის დამუშავება;

ა.ე) საგზაო მშენებლობა;

ა.ვ) სამკერვალო წარმოება;

ა.ზ) სატელეკომუნიკაციო ქსელები და სისტემები;

ა.თ) პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება.

ბ) ქართული ენის სრულყოფილი წერითი, კითხვის და საუბრის უნარები.

გ) სასურველია პროფესიულ სტანდარტებზე ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება.

დ) კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word; Microsoft Office PowerPoint; Microsoft Excel) კარგად ცოდნა:

10. პროგრამის დარგის ფასილიტატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება ცენტრის ფარგლებში განსაზღვრული მეთოდოლოგიითა და ინსტრუქციით.

11. მოსალოდნელი შედეგები/პროდუქტები:

ა) საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის ანალიზის შემუშავებაში თანამონაწილეობა;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის თანდართული მოდულების პროექტები;

გ) შუალედური და საბოლოო ანგარიშები, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაცია.

12. პროგრამის დარგის ფასილიტატორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:

ა) აზრის გამართულად ჩამოყალიბება;

ბ) ლოგიკური აზროვნება;

გ) ანალიტიკური აზროვნება;

დ) სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაცია.

13. პროგრამის დარგის ფასილიტატორის თანამდებობაზე 8 ადგილზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში საკონკურსო კომისიის მიერ შეირჩეს თითო კანდიდატი მე-9 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული შესაბამისი მიმართულებიდან.

14. პროგრამის განათლების ფასილიტატორისა და დარგის ფასილიტატორის შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა, ელექტრონული ფოსტის მისამართზე: hr-jobs@eqe.ge, აუცილებლად უნდა წარმოადგინონ:

ა) ავტობიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე, სადაც აღნიშნულია კანდიდატის სამუშაო გამოცდილება;

ბ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი);

გ) სარეკომენდაციო წერილი, სადაც ასახული იქნება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი გამოცდილება.

15. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

16. კონკურსანტებმა შესაბამის ველში აუცილებლად უნდა მიუთითონ ვაკანსიის დასახელება: დარგის ფასილიტატორი ან განათლების ფასილიტატორი.

17. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდების – www.jobs.ge და www.eqe.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

18. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

19. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე